საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

N გ-20-03/1005
16/03/2020

1005-გ-20-03-2-202003161715

შპს „ჯორჯიას ფერსთ ინდიან ბიზნეს რიფორთარ ჩანელს“

შეტყობინება

2020 წლის 6 მარტის შპს „ჯორჯიას ფერსთ ინდიან ბიზნეს რიფორთარ ჩანელის“ მიერ ”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად წარმოდგენილ საავტორიზაციო განცხადებასთან დაკავშირებით, კომისიამ 2020 წლის 10 მარტს წერილობით განგიმარტათ, რომ დოკუმენტაცია არასრულყოფილად არის წარმოდგენილი და მითითებული ინფორმაციის წარმოსადგენად შპს „ჯორჯიას ფერსთ ინდიან ბიზნეს რიფორთარ ჩანელს“ განუსაზღვრა 5 სამუშაო დღის ვადა (წერილი №გ-20-03/866, 10.03.2020წ.).

შპს „ჯორჯიას ფერსთ ინდიან ბიზნეს რიფორთარ ჩანელის“ მიერ 2020 წლის 13 მარტს წარმოდგენილ დაზუსტებულ განცხადებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ შპს „ჯორჯიას ფერსთ ინდიან ბიზნეს რიფორთარ ჩანელს“ განსაზღვრულ ვადაში კომისიაში არ წარმოუდგენია:

ა) განსახორციელებელი სამაუწყებლო კონცეფცია;

ბ) განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების გეგმა და ინფორმაცია დაფინანსების წყაროების შესახებ;

გ) ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ (დადასტურებული აუდიტორული კომპანიის მიერ);

დ) ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ (დადასტურებული აუდიტორული კომპანიის მიერ);

ე) მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაცია და ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ.

”მაუწყებლობის შესახებ” საქართველოს კანონის 45^1 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად თუ საავტორიზაციო განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია არასრულყოფილადაა წარმოდგენილი, კომისია ავტორიზაციის მსურველ პირს დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენისათვის განუსაზღვრავს 5 სამუშაო დღის ვადას. **ამ ვადაში დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში ავტორიზაცია არ განხორციელდება. ავტორიზაციის განუხორციელებლობა არ ართმევს პირს უფლებას, განმეორებით მიმართოს კომისიას ავტორიზაციისათვის.**

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625 ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იმის გამო, რომ შპს „ჯორჯიას ფერსთ ინდიან ბიზნეს რიფორთარ ჩანელს“ განსაზღვრულ ვადაში კომისიაში სრულყოფილად არ წარმოუდგენია საავტორიზაციო განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია 2020 წლის 19 მარტს 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება კომისიის სხდომა, სადაც განიხილება საკითხი შპს „ჯორჯიას ფერსთ ინდიან ბიზნეს რიფორთარ ჩანელისთვის“ მაუწყებლობის სფეროში ავტორიზაციაზე უარის თქმის თაობაზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, უფლება გაქვთ კომისიას წარუდგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქართველოს მთავრობის რეკომენდაციის შესაბამისად, კომისია გადადის დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.gncc.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@gncc.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის შესაბამისი შეტყობინებები და გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.gncc.ge).

2020 წლის 19 მარტის კომისიის სხდომის წარმართვის ფორმის ცვლილების შემთხვევაში გაცნობებთ დამატებით, შესაბამის ინსტრუქციებთან ერთად, წინააღმდეგ შემთხვევაში, სხდომა გაიმართება ჩვეულ რეჟიმში და უფლებამოსილი ხართ თქვენი პოზიცია წარმოგვიდგინოთ წერილობით, სხდომაზე გამოუცხადებლად. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების შემთხვევაში გთხოვთ იყოლიოთ თარჯიმანი.

პატივისცემით,

ოლია ვოტ

ადმინისტრაციის უფროსი
ადმინისტრაცია